

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

**ოქმი N 4**

ქ. ვანი თავისუფლების N 65

7 ივნისი 2019 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** კობა ტოხვაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, თამარ შენგელია.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ის დირექტორი - ვალერი როხვაძე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ის დირექტორი - ზვიად მინაშვილი.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე კომისიის უხუცესი წევრი - თენგიზ დვალიშვილი (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

**დღის წესრიგი**

1.„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სარაგბო კლუბ ,,აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან საბავშვო რაგბის ჯგუფი გადავიდა ,,სარაგბო კლუბ ,,აიეტი“-ში და შესაბამისად მოხდა რეორგანიზაცია რის გამოც საჭირო არის საკრებულოს თანხმობა.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა ,,ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ429651717) რეორგანიზაციის გამოცხადებას.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართი N2/

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შესაბამისად მოხდა რეორგანიზაცია, „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში გადავიდა საბავშვო რაგბის ჯგუფი „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან.

**აზრი გამოთქვა** „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ის დირექტორმა ზვიად მინაშვილმა.

აღნიშნა, რომ ჩემთვის გულდასაწყვეტია სარაგბო ჯგუფის გადასვლა ჩემი სამსახურიდან, რადგან რაგბის ჯგუფი იყო ჩემი სამსახურის სახე. ეს გადაწყვეტილი საკითხი არის, მაგრამ ჩემი გულისტკივილი გამოვხატე. სპორტის სახეობიდან დარჩენილი მაქვს მხოლოდ ჭიდაობა, მძლეოსნობა, შახმათი და კალათბურთი. რომელიმე სპორტის ჯგუფი დამიმატეთ თუნდაც ფრენბურთი და მაგიდის ჩონგბურთი.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოადგინეთ ინიციატივა აღნიშნული გუნდის დამატების თაობაზე და ჩვენ მხარს დაგიჭერთ.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადებას.

**/დანართი N3/**

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თენგიზ დვალიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის უხუცესი წევრი